ნინო ყანჩელი, ნინო ჭოხონელიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Nino.kancheli@gmail.com; nino.chokhonelidze1@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.90

დიფერენცირებული სწავლების თანამედროვე გამოწვევები

სწავლების დიფერენციაცია არის განათლების დემოკრატიზაციის და ჰუმანიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი. დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სასწავლო პროცესის მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე. ერთ კლასში მყოფი განსხვავებული მიღწევების მოსწავლეთა განსხვავებულად სწავლებას. იგი ითვალისწინებს მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფას. ამგვარი სწავლების მიზანია, რომ თითოეულმა მოსწავლემ მიაღწიოს საუკეთესო შედეგს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. დიფერენცირებული მიდგომით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დაძლიონ სწავლის პროცესში წარმოქმნილი ბარიერები და გაიუმჯობესონ შედეგები. მასწავლებელი ამას ახერხებს უწყვეტი შეფასებისა და მოსწავლეთა დაჯგუფების გზით. ეს არის სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზება, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის საჭიროებეზე, უნარებზე და შესაძლებლობებზე. დიფერენცირებული სწავლება აიგება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოლოდინისა და სურვილების გაგება;
2. მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და სწავლის სტილის განსაზღვრა;
3. დაკვირვება იმაზე, თუ როგორ იგებენ მოსწავლეები დავალებას;
4. სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით, შედეგების მონიტორინგი და ანალიზი.

სწავლების დიფერენცირება არის ეფექტური საშუალება, რათა მოსწავლემ შეძლოს განვითარების აქტიური ზონიდან გადავიდეს განვითარების უახლოეს ზონაში. დიფერენცირებული სწავლების პროცესი მიმართულია „გათანაბრებაზე“ -დავალებები დახარისხებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობის მიხედვით, რაც ერთიანობაში ხელს უწყობს მათ მოტივაციას და შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალურ გამოვლენას, ერთმანეთის დახმარებით სწავლასა და თვითსწავლას. ასეთი სწავლის შედეგად:

- საგანი ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი ხდება;
- ყველა თანაბრად აღიქვამს თავიანთ მოვალეობებსა და საჭიროებებს;
- ყველა მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის თანაბარი შანსი ეძლევა;
- იზრდება მოსწავლეთა მოტივაციის და თავდაჯერებულობის დონე;
- მოსწავლებს საშუალება აქვთ გამოიმუშაონ სწავლების საკუთარი ტემპი;
- ჯგუფური მუშაობის დროს ჯგუფის წევრები ირგებენ სხვადასხვა როლს მათი უნარებისა და ინტერესებიდან გამომდინარე;

საერთოდ, რისთვის არის საჭირო დიფერენცირება?

- იმისათვის, რომ სწავლაში ყველა მოსწავლეს დავეხმაროთ. სწავლების დიფერენცირებას იმიტომაც ვახდენთ, რომ ეს ზრდის მოსწავლეთა შეცნობის შესაძლებლობას, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება სასწავლო პროცესის ისე დაგეგვმა და განხორციელება, რომ ყველა ბავშვის საჭიროებებზე იყოს მორგებული.

• იმისთვის, რომ მოსწავლეების მოტივაცია და სწავლის შედეგი გავზარდოთ: სწავლების დიფერენცირებას იმიტომ ვახდენთ, რომ, როცა მოსწავლეები მათი საჭიროებების შესაბამის გამოწვევებსა და მხარდაჭერას იღებენ, ეს უზრუნველყოფს მათ ჩართულობას, უძლიერებს მოტივაციას და ამაღლებს აკადემიურ შედეგებს.

• იმისთვის, რომ მოსწავლეებს საგანი შეუყვარდეთ. დიფერენცირებას იმიტომ ვახდენთ, რომ იგი მოსწავლეებში სასწავლო საგნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გაჩენას უწყობს ხელს, რაც, საბოლოო ჯამში, სწავლის პროცესს აუმჯობესებს.

• იმისთვის, რომ მოსწავლეები სწავლაში უფრო დამოუკიდებლები გახდნენ. კერძოდ, დიფერენცირებას იმიტომ ვახდენთ, რომ ამ გზით მოსწავლეები სწავლის კუთხით საკუთარ თავს უკეთ გაიცნობენ და შესაბამისად უფრო დამოუკიდებლები ხდებიან; შედეგად იზრდება მათი პასუხისმგებლობის ხარისხი, ისინი პატივისცემით ეპყრობიან განსხვავებულ თანატოლებს, ამ დროს მცირდება დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემებიც.

• იმისთვის, რომ მასწავლებელი თავისი მუშაობით კმაყოფილი იყოს. ამასთანავე, მუშაობა უფრო ნაყოფიერიც გახდეს. დიფერენცირებას იმიტომ ვახდენთ, რომ შემოქმედებითი და ნაყოფიერი მუშაობა მოსწავლეებს ენთუზიაზმს მატებთ და აძლევთ სწავლებისგან სიამოვნების მიღების შესაძლებლობას.

დიფერენცირებული სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, მათი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი აქტივობების შეთავაზება სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად დიფერენცირებული გაკვეთილების დაგეგმვისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მზაობის ხარისხის ცოდნა. იმის გასაგებად, თუ რა იციან ბავშვებმა, უნდა გავაკეთოთ წინასწარი დიაგნოსტიკა ან დავაკვირდეთ, როგორ მოიქცევიან ისინი გაკვეთილის „გონებრივი იერიშის“ ფაზაზე, ჩავრთოთ სხვადასხვა აქტივობაში, გავეცნოთ მათ მიერ შესრულებულ ძველ დავალებებს. გამოვიყენოთ შემაჯამებელი კითხვარი-ბარათები იმის გასარკვევად, თუ რა იციან და რისი გაკეთება შეუძლიათ, ან მივმართოთ კონკრეტული კითხვებით. თუ მოსწავლის მზაობის ხარისხი ვიცით ამა თუ იმ ცნებასთან მიმართებაში, ჩვენ შეგვიძლია მოსწავლეთა დიფერენცირება სხვადასხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით და სწავლების პროცესის წარმართვა მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად. მზაობაზე დაყრდნობით დიფერენცირება სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს, ანუ სხვადასხვა ჯგუფისთვის სხვადასხვა იყოს, მაგალითად:

•მასალის დამუშავების ტემპი;

• მასალის სირთულის დონე;

• მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხი;

• მასწავლებლის მიერ მასალის სტრუქტურიზაციის ხარისხი.

კაროლინ ანა ტომლინსონი, რომელსაც არაერთი ნაშრომის აქვს გამოქვეყნებული დიფერენცირებულ სწავლებაზე, ამტკიცებს, რომ დიფერენცირება არის აზროვნების ფორმა და დიფერენცირება არ არის სწავლების მზა „რეცეპტი“. ის არის ფილოსოფია, რომელიც ეფუძნება შემდეგ შეხედულებებს:

ერთი ასაკის მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი მზაობით, ინტერესებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით და საცხოვრებელი პირობებით;

განსხვავება მოსწავლეებში დიდ გავლენას ახდენს მათ შესასწავლ მასალაზე, სწავლის ტემპზე და მასწავლებლის მხრიდან მიღებული მხარდაჭერის ხარისხზე;

მოსწავლეები საუკეთესოდ სწავლობენ, მაშინ როცა ზრდასრული უბიძგებს მათ იმ ზღვარს მიღმა, როცა ისინი უკვე დამოუკიდებლად შეძლებენ მუშაობას;

მოსწავლეები საუკეთესოდ სწავლობენ, როცა სასწავლო კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და გამოცდილებაზე;

მოსწავლეთა სწავლების პროცესი ბევრად ეფექტურია, მაშინ როცა აუდიტორიაში ერთსულოვნების შეგრძნებაა, სადაც მოსწავლეები თავს გრძნობენ დაფასებულად.

მასწავლებლის ძირითადი როლი სწორედ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობის მაქსიმიზაციაა.

დარიოს თანახმად, მასწავლებელს დავალების დიფერენცირების უამრავი საშუალება აქვს. მისი აზრით, დავალების ტიპი მორგებული უნდა იყოს მოსწავლეზე. მაგალითად, ექსტროვერტები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან მონაწილეობა მიიღონ აქტივობებში და გამუდმებით ხელს იწევენ, სხვებს გაუძღვებიან სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობისათვის. ხოლო არტისტული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს უნდა მიეცეს მათზე მორგებული დავალება, მაგ: პოსტერის დიზაინი.

ნური მიიჩნევს რომ საჭიროა მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება და იმის გაანალიზება, რომ სწავლის პროცესი მხოლოდ საკლასო ოთახში არ მიმდინარეობს. აუცილებელია დავრწმუნდეთ იმაში, რომ მოსწავლეებს ეძლევათ დამატებითი, თემასთან შესაბამისი დავალება. ამ ტიპის სამუშაო გამოწვევა იქნება მათთვის. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ თვითსწავლის აუცილებლობა.

დიფერენცირების გზები, რომელსაც მასწავლებელი იყენებს სწავლების პროცესში შემდეგია:

ჯგუფური მუშაობა, რომლის დროსაც ხდება ჯგუფის წევრების ცვლა. მოსწავლეებისთვის სასარგებელოა განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობა. ისინი გამოიმუშავებენს სხვადასხვა უნარ-ჩვევას განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობისას.

სისტემა „კითხე მეწყვილეს“, „კითხე ჯგუფს“ და შემდეგ „მკითხე მე“. როცა მოსწავლეს დახმარება სჭირდება, ის არ არის დამოკიდებული მხოლოდ მასწავლებელზე. გარდა ამისა, ეს კლასში ქმნის ურთიერთდამხმარე გარემოს, და ზრდის თავდაჯერებულობას;

„მოსაუბრე პარტნიორი“, როცა კლასში კითხვას ვსვამთ, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება კითხვაზე პასუხი განიხილონ მეწყვილესთან. ეს მათ აძლევს დაფიქრების დროს, გარდა ამისა, იღებს მხარდაჭერას უფრო ძლიერი პარტნიორისგან. თანაბრად არის ჩართული როგორც სუსტი, ასევე ძლიერი მოსწავლე.

ძალიან კარგად მუშაობს შექება. ყოველთვის საჭიროა უკუკავშირის დამყარება მოსწავლეებთან როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ დონეზე. ეს ამხნევებს მათ; გარდა ამისა, მათ წარმოდგენა ექმნებათ ერთმანეთის ძლიერ მხარეებზე. გამორჩეული მუშაობისთვის შესაძლოა ჯგუფს მივანიჭოთ ხარისხის ნიშანი. ეს არის მნიშვნელოვანი მოტივატორი.

1.ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში, ეძლევათ დეტალური და მათი დონის შესაბამისი ინსტრუქცია. ეს მათ საშუალებას აძლევს იმუშაონ დამოუკიდებლად, ხოლო მასწავლებელი ამ დროს ასრულებს ფასილიტატორის როლს.

2.მოწყენილობის თავიდან ასაცილებლად უნდა გამოვიყენოთ სწრაფად მოაზროვნე მოსწავლეები, რომლებიც ყოველთვის პირველები ასრულებენ მიცემულ დავალებას. მასწავლებელი ცდილობს მისცეს მას დამატებითი დავალება, როგორიცაა ქვიზების ან დამატებითი კითხვების თუ დავალებების შედგენა ჯგუფისთვის. ეს ქმნის კლასში ინტერაქტიულ გარემოს.

3.წიგნის კითხვის განსახილველი ჯგუფების შექმნა. ჯგუფს ეძლევა საკითხავი ლიტერატურა, იკრიბებიან კვირაში ერთხელ, რათა განიხილონ თითოეული თავი მასწავლებლის მიწოდენული კითხვების გამოყენებით. ისინი აგრეთვე ერთმანეთისთვის ადგენენ კითხვებს. მათი საბოლოო დავალებაა დისკუსიის შეჯამების დაწერა.

4.კლასისთვის ქვიზების დაწერა. მოსწავლეები ამ დავალებას დიდი სერიოზულობით ეკიდებიან. ისინი იწყებენ მასალის დეტალურად შესწავლას, რაც ეხმარება მათ ეფექტური და ნაკლებ ეფექტური კითხვების არჩევაში.

5.მოსწავლეები დღიურს აწარმოებენ. მათი გაცნობის მერე, მასწავლებელს შანსი აქვს სწორად შეურჩიოს თითოეული მოსწავლის მისწრაფებებსა და საჭიროებებზე მორგებული დავალება. მაგალითად, თუ მოსწავლე გატაცებულია საბრძოლო ხელოვნებით, მან უნდა მოირგოს სპორტული მიმომხილველის როლი. მეორე მოსწავლეს, რომელიც ყოველთვის ჩანახატებით არის გაკვეთილზე დაკავებული, მასწავლებელი ურჩევს მისთვის საინტერესო წიგნის ანიმაციაზე მუშაობას და თხოვს ყოველ კვირაში დახატოს ახალი მოკლე კომიქსი.

6.მასწავლებელი მუდმივად უნდა იყოს სიახლეების ძიებაში და იკვლევდეს ახალ გზებს მოსწავლეებთნ ერთად უკეთესი სამუშაო ურთიერთობის დასამყარებლად. სწორედ მასწავლებელზეა დამოკიდებული მოსწავლეებს გაუღვივოს სწავლისადმი სიყვარული, რომელსაც ისინი დიდი მონდომებითა და ენთუზიზმით მოეკიდებიან. ეს არის ყველაზე რთული ამოცანა მასწავლებლისთვის.

დიფერენცირებული სწავლებისას მასწავლებელი გაკვეთილებზე:

• ახდენს შეკითხვების ადაპტირებას - შეკითხვებს ამზადებს ისე, რომ გათვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის მზაობა და შესაძლებლობები.

• ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებს და მოსწავლეებს აძლევს მკაფიო ინსტრუქციებს დავალების შესასრულებლად;

• ახდენს დავალებების დანაწევრებას. დიფერენცირების დროს მიზანი ერთია, მიღწევის გზები კი განსხვავებული. შესაბამისად, საშუალოზე დაბალი მზაობის მოსწავლეებს მიეწოდება დანაწევრებული დავალება, რისი დაძლევაც მოსწავლეებისთვის შესაძლებელი იქნება;

. ზოგჯერ იყენებს მასალის შემჭიდროებას მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით. ამიტომ, შეიძლება გარკვეული მასალის შეკუმშვა განხორციელდეს დროის მოგების თვალსაზრისით;

• აძლევს მოსწავლეებს აზროვნების ვერბალიზაციის დავალებებს. ამ დროს მოსწავლეებს საშუალება აქვთ ხმამაღლა იფიქრონ, შემდეგ კი ნაფიქრალი თანატოლებთან განიხილონ;

• ცდილობს მოსწავლეთ პასუხისმგებლობის განვითარებას. ამისათვის მოსწავლეებს უნდა მივცეთ მეტი შემოქმედებითობის საშუალება, დაგეგმონ და განახორციელონ პროექტი, მოაწყონ პრეზენტაცია თანატოლებისთვის, მიიღონ მონაწილეობა გარკვეული აქტივობის შეფასებაში. მოქნილი რიტმი გულისხმობს განსხვავებული მზაობის მოსწავლეებს მივცეთ განსხვავებული დრო სასწავლო მასალის ათვისებაში;

• ხელს უწყობს მოსწავლეებს პერსონალური მიზნების დასახვასა და ერთად დაგეგმვაში, მოსწავლეების ჩაბმას ინდივიდუალური მიზნებისა და სასწავლო აქტივობების

დაგეგმვის პროცესში. მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი სასწავლო კვლევა, როცა მოსწავლეები მათთვის საინტერესო საკითხებზე დამოუკიდებლად მუშაობენ;

• ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ეს ამა თუ იმ საკითხის გარშემო ისეთი თემატური გაკვეთილებია, რომლებიც ორ ან მეტ სასწავლო საგანს აერთიანებს;

• იყენებს პრობლემების გადაჭრაზე დაფუძნებულ სწავლებას - ამ დროს მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულნი პრობლემების გადაჭრის პროცესში. მასწავლებელი კლასს წარმოუდგენს რთულ და ბუნდოვან პრობლემას. მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ საჭირო ინფორმაცია, განსაზღვრონ პრობლემა, მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, და საბოლოდ გადაჭრან პრობლემა. ამის შესახებ სხვებს აცნობონ და გადაჭრის გზების ეფექტიანობა და სისწორე შეაფასონ.

დიფერენცირებული სწავლების ეფექტური გამოყენება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს და რამდენად ითვალისწინებს მათ ცოდნას, გამოცდილებას და უნარ-ჩვევებს. კერძოდ:

აუცილებელია დავრწმუნდეთ მოსწავლეებს გაცნობიერებული აქვს თუ არა რა არის მათი წარმატების საწინდარი;

წარმატება უნდა ვაქციოთ ერთადერთ სამიზნედ;

ინსტრუქციის მიცემის პროცესის მორგება მათი სამომავლო დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად;

ვუზრუნველყოთ მოსწავლის უწყვეტი წვდომა ინფრომაციაზე და მასალაზე;

მასწავლებელმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აარიდოს თავი მოსწავლეებისთვის გაურკვეველ საკითხებს;

ვასწავლოთ მოსწავლეებს გონივრული გადაწყვეტილების და არჩევანის გაკეთება, რომელიც მომავალში მათ წარმატებებს მოუტანთ;

გამოვიყენოთ კონსტრუქციული, საკითხზე ორიენტირებული და სასარგებლო უკუკავშირი;

დავრწმენდეთ, რომ მოსწავლე შესაბამისად რეაგირებს უკუკავშირზე;

შევცვალოთ სწავლების ხერხები და საშუალებები და მოვარგოთ მოსწავლეთა საჭიროებებს;

ყოველთვის ვეცადოთ უწყვეტი, დადებითი მხარდაჭერა ვაგრძნობინოთ მოსწავლეს.

ამრიგად, დიფერენციაცია ხელს უწყობს მოსწავლეთა უნიკალური უნარების და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, რაც განაპირობებს მოსწავლეების ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევას. დიფერენცირებული სწავლების ეფექტიანი გამოყენება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს და რამდენად ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ცოდნას, უნარ-ჩვევებს და გამოცდილებას, რომელიც ყალიბდება მშობლებთან, თანატოლებთან, მედიასთან და სამყაროსთან ყოველდღიური ურთიერთობით. დიფერენციაციის სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლისგან სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის ფლობას მოითხოვს.

ლიტერატურა:

1. Anstee, P (2011) Differentiation Pocketbook. Teachers' Pocketbooks.
2. Bartlett, J (2015) Outstanding Differentiation for Learning in the Classroom. Routledge.

3. Cameron, L (2004) Teaching Languages to Young Learners, Chapter 10. Cambridge University Press.
4. Cowley, S (2013) The Seven T's of Practical Differentiation. CreateSpace.
5. Dodge, J (2006) Differentiation in Action. Teaching Strategies.
6. Gershon, M (2013) How to Use Differentiation in the Classroom. CreateSpace.
7. Tomlinson, CA (2014) The Differentiated Classroom: Responding to the needs of all
8. learners. ASCD.
9. www.bbcactive.com/BBCActiveIdeasandResources/MethodsofDifferentiationintheClassr
10. oom.aspx – an article providing ideas for different means of differentiation in the classroom.
11. http://www.ascd.org/publications/educational_leadership/sept00/vol58/num01/Reconc
12. ilable_Differences%C2%A2_Standards-Based_Teaching_and_Differentiation.aspx –
13. reconcilable differences? Standards-Based Teaching and Differentiation
14. http://www.ascd.org/ASCD/pdf/journals/ed_lead/el199909_tomlinson.pdf – a pdf article:
15. Mapping a route toward differentiated instruction
16. http://www.ascd.org/publications/books/105005/chapters/Setting-the-Stage-for-
17. Change-Toward-Differentiation.aspx – a book: Differentiated School

Nino Kancheli , Nino Tchokhonelidze
Akaki Tsereteli State University

Modern challenges of differetiated teaching

Abstract

Differentiation in teaching is the key factor in raising democratic human beings. Differentiation means a refinement of, but not substitute for, a curriculum and instruction. It is a way of thinking about classroom. Pupils who are the same age, in the same grade, differ in their readiness to learn, their interests, their experiences, their life circumstances and their style of learning. The central job of a differentiation is to maximise the capacity of each pupil by assigning them to suitable groups. The aim of such approach is to draw attention to diverse needs of learners. Pupils have choices about what and how to learn. It enables them to overcome all the barriers encountered in the learning process. It gives them an opportunity to enhance their achievements. Differentiation allows a teacher, along with pupils, to set learning goals and connect pupils' experiences to their learning process. Differentiation focuses on the needs, abilities, and skills of each individual. Differentiation is based on the following:

1. To live up to teachers' and pupils' expectations;
2. To define learners' individual needs, styles of learning and the pace at which they need to learn, and the support they need from their teachers;
3. To observe how learners figure out the assigned tasks;
4. To set future goals by monitoring and analyzing learners' achievements.

Differentiation contributes to expose learners' unique capabilities and skills, that ensures attaining the level determined by the National Curriculum. The defining factor of differentiation is how well teachers realise their pupils' needs and consider each individual learner's knowledge, abilities and past experiences built on collaboration with parents, peers, media and outside world on a daily basis.

Teachers are sure to encourage learners by varying ways in which they learn. Thus, teachers need to possess various teaching and learning methods in order to implement differentiation successfully.